სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/32

ქ. თბილისი

14 აგვისტო 2020

სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ქონების სსიპ – „თბილისის ხელოვნების კოლეჯისათვის“ სარგებლობაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების 45-ე მუხლის შესაბამისად, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2020 წლის 10 აგვისტოს №0000675830 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 14 აგვისტოს №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას ქ. თბილისში, სანდრო ეულის №5-ში, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობის მე-5 სართულზე არსებული 255,46 მ² ფართობის, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით სსიპ - „თბილისის ხელოვნების კოლეჯისათვის“ გადაცემის თაობაზე იმ ვადით, სანამ კოლეჯი არ იქნება უზრუნველყოფილი შესაბამისი ფართობით.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**